



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №1039

13 დეკემბერი 2016 წელი

ქალაქი რუსთავი

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზებო ობიექტებისა და სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი
ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 12 ივლისის №1145 ბრძანებით განსაზღვრული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 02 დეკემბრის №12151-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი ობიექტების ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მალაყელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

					დანართი №1
№	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	საკადასტრო კოდი	ფართობი	მისამართი	ფუნქციური ზონები
1	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.04.02.608	915 კვ.მ	ქალაქი რუსთავი , ქუჩა ახმეტელი , N 10-ის მიმდებარედ	სზ-5
2	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.03.07.031	93 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , ქუჩა მესხიშვილი , I გასასვლელი , მიმდებარედ	სზ-6
3	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.02.04.346	50 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი XII სახლი N31_ის მიმდებარედ	სზ-5
4	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.02.08.106	26 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , ქუჩა ლეონიძე , მიმდებარე ტერიტორია	სსზ-3
5	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.01.05.896	7953 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი XXI , მიმდებარე ტერიტორია	სზ-6
6	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.03.04.730	31 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი VII , N 24 , მიმდებარე ტერიტორია	სზ-5

7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.05.03.589	400 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , ქუჩა ზედგენიძე , მიმდებარე ტერიტორია	სზ-2 საპრ.
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.04.02.602	1061 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , ქუჩა კლდიაშვილი , სახლი N4-ის მიმდებარე ტერიტორია	სზ-6
9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.02.08.104	177 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , მე-16 მ/რ -ის მიმდებარე ტერიტორია	სზ-5
10	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.02.08.105	285 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი XVI -ის მიმდებარედ	სზ-5
11	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.02.08.046	241 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , ლეონიძის ქ. და ზაზრობას შორის მ/ტ	სსზ-3
12	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	02.02.08.045	40 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , ლეონიძის ქ. და ზაზრობას შორის მ/ტ	სსზ-3
13	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა #1 -მშენებარე	02.05.07.248	1750 კვ.მ. შენობა-ნაგებობა №1 - მშენებარე, განაშენიანების ფართობით 371.89 კვ.მ.	ქალაქი რუსთავი , გამზირი კოსტავა , ცენტრალური ხიდის მიმდებარედ	სსზ-4

დანართი №2

#	სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტის დასახელება / დანიშნულება	ფუნქციური ზონა	ს/კოდი	მდებარეობა / მისამართი	ფართობი (კვ.მ.)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	რზ-1 და ტზ-1	02.05.07.851	ქალაქი რუსთავი, ქუჩა გაგარინი, მიმდებარედ	62 კვ.მ.